



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



მოქალაქეთა საჭიროებების კვლევა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

პროექტი - „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი სახელმწიფო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგისთვის“

შესავალი

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს კვლევის ანგარიშს - მოქალაქეთა ადგილობრივი საჭიროებების კვლევა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. კვლევაში მონაწილეობდა ორი ორგანიზაცია „ განათლებისა და თანასწორობის ცენტრი“ და „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“. ანგარიში მომზადებულია ორგანიზაციის „განათლებისა და თანასწორობის ცენტრის“ მიერ, პროექტის „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი სახელმწიფო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგისთვის“ ფარგლებში.

კვლევა ჩატარდა 2021 წლის მაისსა და ივნისში. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელი სხვადასხვა სტატუსის მქონე მოქალაქეები: დევნილები, სოციალურად დაუცველი პირები, მათ შორის მრავალშვილიანი დედები/მამები, მარტოხელა დედები/მამები, ხანდაზმულები, ახალგაზრდები, შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობები, მცირე მეწარმეები, პროფესიული შერეული ჯგუფები: მეწარმეები/ბისნესმენები, მასწავლებლები, სამედიცინო სფეროს მუშაკები და ა.შ

კვლევის დიზაინი

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა ადგილობრივი საჭიროებებისა და საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის დადგენა.

კვლევის მეთოდოლოგია

აღნიშნული კვლევის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა:

1. რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ - ელექტრონული და სატელეფონო გამოკითხვა. კვლევის ინსტრუმენტი ელექტრონული პლატფორმა - **Google Forms**. გამოკვლევისთვის განხორციელდა შერჩევა შემდეგი ნიშნით:
 - ა) გამოკითხულთა მთლიანი რაოდენობა თითო მუნიციპალიტეტში - 160 ადამიანი

პროექტის მიხედვით დადგეგმილი იყო 150 ადამიანის გამოკითხვა:

	სამიზნე ჯგუფი	ქალი	კაცი
1.	დევნილები	13	12
2.	სოციალურად დაუცველი პირები (მაგალითად, მრავალშვილიანი დედები/მამები, მარტოხელა დედები/მამები, ხანდაზმულები)	20	5
3.	ახალგაზრდები	13	12
4.	შშმ პირები	13	12
5.	ეთნიკური უმცირესობები	13	12
6.	მცირე მეწარმეები	13	12
	სულ	85	65

2. კვლევის ფარგლებში ჩატარდა ფოკუს ჯგუფი/დისკუსია.

ქალები (დიასახლისები, მრავალშვილიანი დედები, მარტოხელა დედები და ა.შ.); პროფესიული შერეული ჯგუფები (მეწარმეები/ბისნესმენები, მასწავლებლები, სამედიცინო სფეროს მუშაკები და ა.შ.); ხანდაზმულები/პენსიონერები; შშმ ბავშვების მშობლები

3. ჩადრმავებული ინტერვიუ ექსპერტთან


კვლევის ფარგლებში ჩატარდა 4 ჩადრმავებული ინტერვიუ ექსპერტთან.

კვლევის შედეგები


I. მოქალაქეთა საჭიროების კვლევა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (რაოდენობრივი კვლევა)

1. რესპონდენტთა სოციო-დემოგრაფიული პროფილი


1.1. სქესი კვლევის ფარგლებში გამოკითხულია 160 ადამიანი. მათ შორის 92 ქალი და 68 კაცი.




1.2. რესპონდენტის ასაკი : 18-34 წ-მდე - 77; 35-64 წ-მდე - 62; 65 და ზევით - 23




1.3. ოჯახური მდგომარეობა: დაქორწინებული - 72; არ არის დაქორწინებული - 60; ქვრივი 20; განქორწინებული 11.




1.4. განათლება: სრული საშუალო 69; სრული უმაღლესი 53; საშუალო სპეციალური 33, არასრული საშუალო 8.



1.5. განსაკუთრებული სტატუსი: ახალგაზრდა 31; შშმ პირი 26; ეთნიკური უმცირესობა 26; იძულებით გადაადგილებული პირი: 26. მრავალშვილიანი მშობელი 9; ინდ. მეწარმე 6; სოც.დაუცველი 27; სტატუსის გარეშე 21




1.6. რესპოდენტთა სამუშაო გამოცდილება: უმუშევარი 57; საჯარო მოხელე 14; პენსიონერი 18; თვითდასაქმებული 62; სტუდენტი 14



1.7. ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი:


101-500 ლარი - 50; 501-900 – 64; 901-ზე მეტი 29; უარი პასუხზე 20;



2. გამჭვირვალობა

საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ ინფორმირებულობა

2.1. გაქვთ თუ არა ინფორმაცია საჯარო მმართველობის/სამსახურის რეფორმის თაობაზე?
 დიახ 21; არა 88; ნაწილობრივ 53;




წინა წლის შედეგთან შედარებით ამ ნაწილში გაუმჯობესება არ იგრძნობა. ისევ დაბალი პროცენტია მოსახლეობისა, ვისაც საჯარო მმართველობის რეფორმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია

2.1.2. თუ კი, საიდან გაიგეთ ამ რეფორმის შესახებ?

ტელევიზიიდან 26; არასამთავრობო ორგანიზაციიდან 37; სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენელთან შეხვედრებზე 14; მუნიციპალიტეტის ფეისბუქ გვერდიდან 5; სხვა არ ვიცი 54; თქვენი კითხვარიდან 4

ინფორმაცია რეფორმის შესახებ

- ტელევიზიიდან
- არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან
- სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლებთან შეხვედრებზე
- შესაბამისი მუნიციპალიტეტის ფეისბუკიდან/ვებ გვერდიდან
- არ ვიცი
- თვენგან მესმის პირველად




შრამანდელთან შედარებით კვლევის ამ ნაწილში შედეგები შეცვლილია სამოქალაქო საზოგადოებებთან მიმართებაში, მონაცემი თითქმის 10%-ით არის გაზრდილი. ისევ დაბალ ნიშნულზე რჩება მუნიციპალიტეტის ოფიციალური გვერდებისა და ფეისბუქ გვერდების წილი.

2.2. მიგაჩნიათ თუ არა, რომ საჯარო მმართველობის რეფორმა

გააუმჯობესებს მოქალაქეთა მომსახურების ხარისხს?

გააუმჯობესებს 61; ნაკლებად გააუმჯობესებს 2; ვერ გააუმჯობესებს 7;


მიჭირს პასუხის გაცემა 90;



კვლევის ამ ნაწილში, შრამანდელთან შედარებით მონაცემები შეცვლილია, თუ შრამან გამოკითხულთა 52% თვლიდა, რომ რეფორმა გააუმჯობესებდა მოქალაქეთა მომსახურების ხარისხს, ეს მონაცემი წელს 37%-მდე შემცირებული, თუ შრამან 40,7% უჭირდა პასუხის გაცემა, ეს მონაცემი 55% -მდე გაზრდილი. საჯარო მმართველობის რეფორმა,


მოქალაქეთა მომსახურების ხარისხს ვერ ან ნაკლებად გააუმჯობესებსო თვლიდა სულ 7% და წელს ეს მონაცემი 4%-მდეა შემცირებული.

2.3. რამდენად ხართ ინფორმირებული მუნიციპალური ელექტრონული სერვისების შესახებ? არ ვარ ინფორმირებული 68; მეტ-ნაკლებად ვარ ინფორმირებული 67; ინფორმირებული ვარ 11, არ მაინტერესებს 17



თუ შრარშან მუნიციპალურ ელექტრონულ სერვისებზე ინფორმაციას ფლობდა 17% ეს მონაცემი წელს 7%-ს წარმოადგენს. ფაქტიურად იგივე დარჩენილი იმ მოქალაქეების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც საერთოდ არ არის ინფორმირებული 42-44% ასევე იგივე მაჩვენებელია მეტნაკლებად ინფორმირებულ მოქალაქეთა 41-44%


2.4. საიდან მიიღეთ ინფორმაცია ელექტრონული სერვისების შესახებ? მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდიდან 27; არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან 37; ხელისუფლების წარმომადგენლებისგან 5; ტელევიზიიდან 27; არ მიმიღია 63; ამ კითხვარიდან 4; მეგობრისგან/ნაცნობისგან 3; სოც. მედიისგან 2



უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაუმჯობესება შეინიშნება იმ მოქალაქეთა დამოკიდებულებებში, რომლებიც იყენებენ აღნიშნულ სერვისებს. თუ შარშან 53% გამოკითხულ მოქალაქეთა არ იყენებდა არცერთ სერვისს, წელს ეს მაჩვენებელი

2.5. ბოლო წლის განმავლობაში რომელი მუნიციპალური ელექტრონული მომსახურება გამოგიყენებიათ?

ა) ონლაინ განცხადება ვაკანსიის შესახებ 17; ბ) საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება მუნიციპალიტეტის თანამშრომელზე 13; გ) საჩივრის, წინადადების წარდგენა 5; დ) ელექტრონული პეტიცია 10. ე) ანგარიშების გაცნობა 5; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია 7; შესყიდვების გეგმა, ანგარიში 0; საკრებულოს ნორმატიული აქტები/ დადგენილებები 0; საკრებულოს სხდომების დღის წესრიგის/ოქმების გაცნობა 2; შეხვედრაზე დარეგისტრირება 5; არ მაინტერესებს 0; ხელი არ მიმიწვდება 34; არ მაქვს სათანადო უნარ-ჩვევა 21; არ ვიცი/არ დაჭირვებია 32




კვლევის ამ ნაწილში გამოიკვეთა, რომ მოქალაქეთა ნაწილი, რომელიც არ ფლობდა ელექტრონული მომსახურების მისაღებად გარკვეულ უნარ-ჩვევებს 66%-დან შემცირებულია 21%-მდე.

2.6. თქვენი აზრით, რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი რეფორმის პროცესში მოსახლეობისთვის მიწოდებული მომსახურების გასაუმჯობესებლად?

- ა) სახელმწიფო ელექტრონულ სერვისებზე საზოგადოების დროული და სრულფასოვანი ინფორმირება (ტელევიზიით, საინფორმაციო მეხვედრებით, საინფორმაციო ფლაიერებით, ფეისბუქით, ვებ-გვერდით) **53**; ბ) საჯარო მოხელეთა კომპეტენციის ზრდა **23**; გ) განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების (მაგ. მრავალშვილიანი, მარტოხელა დედების, ძალადობის მსხვერპლი ქალების, ბავშვების, შშმ პირების და სხვა) საჭიროებებზე და პრიორიტეტებზე მორგებული მომსახურების შეთავაზება **12**; დ) საჯარო მოხელეთა ანაზღაურების ზრდა **0**; ე) მომსახურების რაოდენობის და ტერიტორიული დაფარვის ზრდა (ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად) **8**; ვ) მომსახურების მიღების პროცესის გამარტივება **0**; თ) არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა **40**; ი) კადრების გადამზადება **4**;

თქვენი აზრით, რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი რეფორმის პროცესში მოსახლეობისთვის მიწოდებული მომსახურების გასაუმჯობესებლად?




შარშანდელთან შედარებით 26%-დან 57%-მდეა გაზრდილი იმ მოქალაქეების რიცხვი, რომლებიც თვლიან, რომ სახელმწიფო ელექტრონულ სერვისებზე საზოგადოების დროული და სრულფასოვანი ინფორმირება უნდა ხდებოდეს ტელევიზიით, საინფორმაციო შეხვედრებით, საინფორმაციო ფლაიერებით, ფეისბუქით, ვებ-გვერდით და ა.შ. რაც მოწმობს, იმაზე რომ ამ საკითხით მოსახლეობის დაინტერესება იზრდება.

2.7. ადგილობრივი მომსახურების მისაღებად რომელ ელექტრონულ სერვისებს იყენებთ?

- ა) www.my.gov.ge – მოქალაქის პორტალი 16;
- ბ) მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი 34;
- გ) მერიის ფეისბუქ-გვერდი 12;
- დ) საკრებულოს ფეისბუქ-გვერდი 5;
- ე) სამხარეო ადმინისტრაციის ვებ-გვერდი 5 ვ) არცერთი 93

ელექტრონული სერვისები




შარშანდელთან შედარებით ფაქტიურად არ შეცვლილა იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც არცერთ ელექტრონულ სერვისს არ იყენებს. მათი რაოდენობა ისევ 53-56%-მდე მერყეობს. უმნიშვნელოდ მაგრამ მაინც მზარდია 17%-დან 21%-მდე მუნიციპალიტეტის ოფიციალური გვერდების მომხმარებელთა რიცხვი.

3. ეფექტიანობა


3.1. როგორ ფიქრობთ, რამდენად იოლია თვითმართველობის უწყებებისთვის სერვისების მისაღებად ელექტრონული ფორმით მიმართვა?

ა) რთული პროცედურებია 29; ბ) მარტივი პროცედურებია 36 გ) მიჭირს პასუხის გაცემა 97;



ოდნავი გაუმჯობესება იგრძნობა კვლევის ამ ნაწილში: მოქალაქეთა რიცხვი, რომელიც თვლის რომ თვითმართველობის უწყებებისთვის სერვისების მისაღებად ელექტრონული ფორმით მიმართვა რთული პროცედურებია 36%-დან 18 %-მდე შემცირდა. თუმცა მაინც 60% მაინც რჩება, რომლებსაც უჭირს პასუხის გაცემა.

3.2. ბოლო ერთი წლის განმავლობაში გისარგებლიათ თუ არა სასურველი უწყების წარმომადგენელთან შესახვედრად, ელექტრონული ჩაწერის პრინციპით?(გამგეობა/მერია, საკრებულო, მერის წარმომადგენელი)?




ისევ უცვლელად რჩება მონაცემები მოქალაქეებსა და მერია/საკრებულო/მერის წარმომადგენლებთან შეხვედრების შესახებ. თუმცა ელექტრონული ჩაწერის სერვისის მოთხოვნის ნაწილში ჩანს ოდნავი გაუმჯობესება 11%-დან 18%-მდეა გაზრდილი.

3.3. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, კერძოდ, რა საკითხების მოსაგვარებლად მიგიმართავთ ადგილობრივი თვითმმართველობის უწყებებისათვის - მერია/საკრებულო?

ა) ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხებზე: ა)მედიკამენტებზე დახმარება/ოპერაციის დაფინანსება 34; ბ) სოციალური დახმარების/ფულადი დახმარებისთვის 13; გ) ცნობასთან დაკავშირებით 23; დ) ვაუჩერთან დაკავშირებით 3; ე) ცნობა მაღალმთიანი რეგიონის სტატუსის მინიჭების თაობაზე 4; ვ) სახურავის შეკეთება/სამშენებლო მასალა 4; ზ) საბავშვო მოედნის მშენებლობა 3; თ) საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესება 0; ი) ნაგვის გატანა 4, კ) წყლის მიწოდება (მათ შორის ხარისხიანი წყლის) და სანიაღვრე არხების გამართვა 2; ლ) დასაქმებასთან დაკავშირებით5; მ) მშენებლობის ნებართვა/ფართის დაკანონება 4; ნ) რაკანონიერი მშენებლობის აღკვეთა0; ო) ქალაქის ურბანიზაციის პროექტი/სკვერების კეთილმოწყობა/ქუჩების განათება. 0; პ) ფართის დაკანონება 2; ჟ) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა 10; რ) შემის მიღება 6; ს) მიწის გაფორმებასთან დაკავშირებით 10; ტ) არ მიმართავს 40;


რა საკითხების მოსაგვარებლად მიგიმართავთ ადგილობრივი თვითმმართველობის უწყებებისათვის?



კვლევის ამ ნაწილში შარშანდელის მსგავსად, წელსაც იკვეთება, რომ მოქალაქეების ძირითადი ნაწილი თვითმმართველობას მიმართავს სოციალური და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად.

3.4. ზოგადად ყველაფრის გათვალისწინებით, როგორ შეაფასებდით მიღებული მომსახურებით კმაყოფილებას?


ა) კმაყოფილი 72; ბ) უკმაყოფილო 57; გ) ძალიან კმაყოფილი 7; დ) ძალიან უკმაყოფილო 27



მიუხედავად სხვადასხვა სეგმენტში მოქალაქეების განსაკუთრებით კრიტიკული დამოკიდებულებისა, მოქალაქეების ნახევარზე მეტი თვლის რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მომსახურებით კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია. რაც შარშანდელთან შედარებით მცირედით გაზრდილია.


3.5. თქვენ/თქვენი ოჯახის წევრს მოგიგვარათ თუ არა თვითმმართველობამ კონკრეტული პრობლემა/პრობლემები, რომლისთვისაც მიმართეთ?

ა) ყველა ჩემი პრობლემა/პრობლემები, რომლის თაობაზეც მიმმართავს, მოაგვარეს 21; ბ) ნაწილობრივ მოაგვარეს 35; გ) არცერთი პრობლემა არ მოუგვარებიათ და არც მომაწოდეს წერილობით უარის არგუმენტირებული მიზეზი 17; დ) მცდელობაც არ ჰქონდათ 9, ე) დაგვიპირდნენ, მაგრამ უზომოდ გაიწელა მოგვარების პროცესი 25; ვ) ჰქონდათ მოგვარების მცდელობა, მაგრამ მოიყვანეს არგუმენტირებული მიზეზი, თუ რატომ ვერ ხერხდება პრობლემის მოგვარება, რომლის შესახებ წერილობით გვაცნობეს 6; ზ) არ ვიცი/უარი პასუხზე 53;



კვლევის ამ ნაწილშიც, მარშანდელთან შედარებით იგრძნობა გაუმჯობესება: მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც თვლის რომ ადგილობრივმა თვითმმართველობა, მიმართვიანობის შემთხვევაში სრულად მოუგვარეს პრობლემა გაიზარდა 17%-დან 21%-მდე. რაც დადებითი დამოკიდებულების მანიშნებელია


- 3.6.** 6) თქვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ჩამოთვლილთაგან რომელი ჯგუფების საჭიროებებს ითვალისწინებს?
- ა) მთლიანად მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 43;
 - ბ) ქალების 0;
 - გ) მრავალშვილიანი ქალების 3;
 - დ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების 0;
 - ე) ბავშვების/ახალგაზრდების 2;
 - ვ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების 18;
 - თ) სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინება ნაკლებად ხდება 41;
 - ი) სხვა 56



მარშანდელთან შედარებით, ოდნავ არის გაუმჯობესებული მონაცემები კვლევის ამ ნაწილში: იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომლებიც თვლის, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მთლიანად მოსახლეობის ინტერესებს ითვალისწინებს 43%-მდეა გაზრდილი. ასევე გაზრდილია მონაცემები შშმ პირებთან დაკავშირებით.

- 3.7.** ფიქრობთ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობას სრულად აწოდებს ინფორმაციას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე/მიწოდებულ მოსახურებაზე?

- ა) დიახ 10;
- ბ) არა 28;
- გ) ნაწილობრივ 76;
- დ) არ მაქვს 49




კითხვაზე: ფიქრობთ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობას სრულად აწოდებს ინფორმაციას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე/მიწოდებულ მოსახურებაზე, მარშანდელთან შედარებით ამ ნაწილშიც იგრძნობა გაუმჯობესება 47%-დან დადებითი პასუხი 76%-მდეა გაზრდილი.

4. ინკლუზიურობა


4.1. 1) როგორ ფიქრობთ, აცნობიერებენ თუ არა ადგილობრივი საჯარო მოხელეები მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობას?

ა) დიახ 12; ბ) არა 37; გ) ნაწილობრივ - 66; დ) აარ მაქვს პასუხი 54



კვლევის მესამე კომპონენტია ინკლუზიურობა. მონაცემთა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ამ ნაწილში არ შეინიშნება. პირიქით, მარშანდელთან შედარებით დაბალია იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც თვლიან, რომ საჯარო მოხელეები თვლიან მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობას.


4.2. რა საკითხებში ხდება მოქალაქეთა ჩართულობის წახალისება/უზრუნველყოფა?
 ა) ადგილობრივი პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესი 19; ბ) მოქალაქეების ინიციატივების განხილვა (მაგ. სამოქალაქო ბიუჯეტი) 25; გ) მოქალაქეთა საჭიროებების იდენტიფიცირება 22, დ) მუნიციპალური პროგრამების შემუშავება 19; ე) ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვა 15; ვ) არ მაინტერესებს 2; ზ)საერთოდ არ ხდება 2; თ) საარჩევნოდ ახსენდებათ ხალხი 6; ი) ინდივიდუალური შეხვედრა 4; კ) საერთო კრებებით 3; ლ) არ ვიცი/არ მაქვს ინფორმაცია 49



შარშანდელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეცვლილია მონაცემები კვლევის ამ ნაწილში: კითხვაზე, თუ რა საკითხებში ხდება მოქალაქეთა ჩართულობის წახალისება/უზრუნველყოფა? მოქალაქეთა ინიციატივების განხილვა და ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვამ მოქალაქეთა კმაყოფილება 19%-დან თითქმის 40%-იან ნიშნულამდე გაზარდა. თიმცა მაინც რჩება მოქალაქეთა საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელსაც არ აქვს აღნიშნული ინფორმაცია.

4.3. სამოქალაქო ჩართულობის რომელი ფორმა გამოგიყენებიათ?


ა) დასახლების კრებებში მონაწილეობა 25; ბ) საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა 7; გ) ანგარიშების მოსმენა 2; დ) სამოქალაქო ბიუჯეტი 9; ე) პეტიცია 16; ვ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო 2; ზ) მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო 0; თ) არცერთი 104; ი) ტრენინგები 2



შარშანდელთან შედარებით 56%-დან 104%-მდე გაიზარდა იმ მოსახლეობის რიცხვი, რომლებსაც საერთოდ არ გამოუყენებია სამოქალაქო ჩართულობის არცერთი ფორმა. თუმცა დადებითი დინამიკა შეინიშნება ცალკეული ფორმის მომხმარებლების მხრივ, ეს არის ელექტრონული პეტიცია, სამოქალაქო/მონაწილეობითი ბიუჯეტი - აღნიშნული სერვისების მომხმარებელთა რიცხვი 8%-დან 16%-მდე გაიზარდა.

4.4. სურვილის შემთხვევაში, გქონდათ თუ არა საშუალება მომსახურებასთან დაკავშირებული თქვენი შენიშვნები მიგეწოდებინათ შესაბამისი უწყებითვის?


ა) დიახ 34; ბ) არა 64; გ) არ მქონია მცდელობა - 61;




თუ შარშან , მომსახურებასთან დაკავშირებული შენიშვნების მიწოდების მცდელობა შესაბამისი უწყებისთვის ჰქონდა 25%-ს ეს მონაცემი წლევანდელი გამოკითხვით 35%-მდეა გაზრდილი.

4.4.1. თუ „დიახ“, რა ფორმით მოახერხეთ ეს?

ა) პირადი შეხვედრა შესაბამისი უწყების წარმომადგენელთან 16; ბ) მუნიციპალიტეტის ფეისბუქ გვერდზე/ვებ გვერდზე პოზიციის დაფიქსირება 17; გ) წერილი 6; დ) არ მქონია მცდელობა 28; ე) არ მაქვს პასუხი 20;




4.5. რა არის თქვენი მთავარი საჭიროება თვითმმართველობასთან კონსტრუქციური დიალოგის და მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად?
 ბ) კონსულტაციის მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების პერიოდული შეხვედრები მოქალაქეებთან 63, გ) უფრო მეტი დარგობრივი პროფილის/სპეციფიკურ საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელის შტატის არსებობა 9; დ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის გამოყენება და წახალისება 0; ე) მუნიციპალური პროგრამების შემუშავების და ბიუჯეტის განხილვის პროცესში მოქალაქეების ჩართვა 26; ვ) გენდერული თანასწორობის, სამოქალაქო მრჩეველთა და სხვა საბჭოების ფორმატის ქმედითობის გაზრდა 0; ზ) მოქალაქეთა ინიციატივების გათვალისწინება სამოქალაქო ბიუჯეტის პრაქტიკის გაძლიერების გზით 27; თ) არ ვიცი 26; ი) ახახალგაზრდების ჩართულობა 2; კ) პასუხისმგებლიანი საჯარო მოხელე 2;



შარშანდელთან შედარებით უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც დადებითი დინამიკა შეინიშნება მოსახლეობის დამოკიდებულებაში თვითმმართველობასთან კონსტრუქციული დიალოგის და მეტი ჩართულობის უზრუნველყოფის საჭიროების გამოკვეთის ნაწილში. თუ შარშან მოსახლეობას უფრო მეტად ნიჰისლისტური დამოკიდებულება ჰქონდა, წლევანდელი კვლევის შდეგად გამოიკვეთა, რომ მოსახლეობა თვლის საჭიროა ადგილობრივ ხელისუფლებასთან პერიოდული შეხვედრები, უფრო მეტი დარგობრივი პროფილის/სპეციფიკურ საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელის არსებობა, მუნიციპალური პროგრამების შემუშავების და ბიუჯეტის განხილვის პროცესში მოქალაქეების ჩართვა, მოქალაქეთა ინტერესის გათვალისწინება სამოქალაქო ბიუჯეტის პრაქტიკის გაძლიერების გზით ეს მონაცემი თითქმის 14%-ით არის გაზრდილი.

4.6. რამდენი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია იცით ადგილობრივ დონეზე/თქვენი მუნიციპალიტეტის ფარგლებში, ვინც ჩართულია ადგილობრივ პოლიტიკურ დიალოგში?


ა) ერთი 62; ბ) ერთზე მეტი 49; სამზე მეტი 51;



კვლევის იმ ნაწილში, სადაც საუბარი იყო სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობაზე ადგილობრივ პოლიტიკურ დიალოგში, აშკარად მზარდი დინამიკა შინიშნება იმ მოქალაქეების რიცხვი, რომლებიც იცნობენ სამზე მეტ ასეთ არასამთავრობო ორგანიზაციას 18%-დან 38%-მდეა გაზრდილი

4.7. რამდენად ეფექტურია მათი თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან მოქალაქეთა კეთილდღეობის ხელშეწყობისთვის?


- ა) ძალიან ეფექტური 17;
- ბ) ეფექტურია 61;
- გ) არც ისე ეფექტურია 74;
- დ) არა ეფექტურია 11



შარშანდელთან შედარებით ასევე მნიშვნელოვნად გაზრდილია იმ მოქალაქეთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც თვლიან რომ სამოქალაქო სექტორსა და ადგილობრივ ხელსუფლებას შორის თანამშრომლობა ეფექტურია. ეს მაჩვენებელი 43%-დან 65%-მდეა გაზრდილი.


4.8. რაში ხედავთ ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების როლს საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელებაში?

- ა) ინფორმირება/განათლება 79;
- ბ) რეფორმის მიმდინარეობის კონტროლი/მონიტორინგი 15;
- გ) ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემის გადაწყვეტის ადვოკატირება 3;
- დ) ადგილობრივი სამართლებრივი აქტების მიღების, ცვლილებების და შესწორებების ლობირება 2;
- ე) მოსახლეობის საჭიროებების მიტანა ხელისუფლებასთან 23;
- ვ) მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის დიალოგის/ადგილობრივი ჩართულობის ხელშეწყობა 6;
- ზ) მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება 6;
- თ) მოქალაქეთა უფლებების დაცვა 11;
- კ) არ ვიცი/ არ მაქვს პასუხი 19;



ასევე დადებითი დინამიკა შეინიშნება მოსახლეობის დამოკიდებულებაში, თუ რაში ხედავთ ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების როლს საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელებაში. მოქალაქეები თვლიან, რომ სამოქალაქო ორგანიზაციების როლი საჯარო მმართველობის რეფორმის საკითხში მნიშვნელოვნად დიდია. ისეთ სფეროებში, როგორცაა განათლება და ინფორმირება, მოსახლეობის საჭიროებების მიტანა ხელისუფლებასთან, მოქალაქეთა უფლებების დაცვა, რეფორმის მიმდინარეობის კონტროლი, ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების გადაწყვეტა, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება, მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის დიალოგის ხელშეწყობა.

- 4.9.** რომელი მიმართულებით მიგაჩნიათ საჭიროდ ადგილობრივი ხელისუფლების ადამიანური და ფინანსური რესურსების მეტი მიმართვა? (დაასახელეთ თქვენთვის პრიორიტეტული 4-5 ძირითადი მიმართულება)
- ა) სოციალური დახმარება 79;
 - ბ) ჯანდაცვა 26;
 - გ) ინფრასტრუქტურა 15;
 - დ) ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და შესაბამისი გარემოს შექმნა ადგილებზე 20;
 - ე) სასამართლო წყალი 2;
 - ვ) წყალარინება (კანალიზაცია) 5;
 - ზ) ავარიული სახლების/უზოების მოწესრიგება 4;
 - თ) მიუსაფარი ცხოველების მართვა 12;
 - ი) მზრუნველობამოკლებული მოხუცებისთვის მხარდაჭერის სერვისები (კვება, საცხოვრებელი ადგილი) 3;
 - კ) პარკები და გამწვანება 2;
 - ლ) დასუფთავება/ნარჩენების მართვა 2;
 - სხვა/ იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ 2;




კველვის იმ ნაწილში სადაც ბენეფიციარებს შეეძლოთ აზრი გამოეთქვათ თუ საით ურჩევნიათ, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ადამიანური და ფინანსური რესურსი მიმართოს ძირითადად, შარშანდელთან შედარებით გამოიკვეთა ახალი მიმართულებები. თუ შარშან რესპოდენტთა პასუხის ძირითადი ნაწილი მოდიოდა სიციალური და ჯანდაცვის საკითხებზე, წელს ახალი საკითხები გამოიკვეთა. ეს არის ნაკლები ხელმისაწვდომობა განათლება და კულტურა; მიუსაფარი ცხოველები, დასუფთავება და ნარცენების მართვა.

4.10. კითხვაზე დაასახელეთ სამი ან მეტი ღონისძიება, რომელიც გესახებათ თქვენი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მოქალაქეთა ინტერესები ასე განაწილდა:

- ა) კონოთეატრის რეაბილიტაცია 20
- ბ) შიდა გზების მოწესრიგება 4
- გ) მიუსაფარი ცხოველების პრობლემის მოგვარება 41
- დ) ტროტუარების მოწესრიგება 2
- ე) ასფალტის დაგება 2
- ვ) კანალიზაცია 4
- ზ) უმუშევრობა 17
- თ) გენგეგმა 2
- ი) საავადმყოფოს აშენება 3
- კ) ანასეულის წყალმომარაგება 2
- ლ) მუნიციპალური ტრანსპორტის გამართვა 9
- მ) შშმ პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის შექმნა 14
- ნ) გომისმთის საკითხოს შესწავლა 3
- ო) ახალი საბავშვო ბაღი 4
- პ) სუდოთარჯიმანის არსებობა საპარო სტრუქტურებში - 1
- ჟ) სარეაბილიტაციო ცენტრი 2
- რ) მუნიციპალურ შენობებში ყველა სართულზე პანდუსის არსებობა 7
- ს) კომპეტენტური საჯარო მოხელე 1
- ტ) სასმელი წყლით მომარაგება 5
- უ) წამლები 5
- ფ) პროდუქტები 2

ქ) დაბალი შემწეობა 3
 ლ) ადაპტირებული ტრანსპორტი 3



კვლევის დასაკვნი ნაწილში რესპოდენტებს საშუალება ჰქონდათ დაესახელებინათ სამი ან მეტი კონკრეტული ადგილობრივი ღონისძიება, რომელიც აუცილებლად მიაჩნდათ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. აქაც შეინიშნება ახალი მიმართულებები. ესაა ისევ მიუსაფარი ძაღლების/ცხოველების პრობლემა, კონითეატრის არარსებობა და ქალაქის გენგემის შემუშავება.

II. ფოკუს-ჯგუფები

პროექტის - „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი სახელმწიფო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგისთვის“ ფარგლებში შედგა ფოკუს-ჯგუფები შემდეგი მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობით: ქალები (დიასახლისები, მრავალშვილიანი დედები, მარტოხელა დედები და ა.შ.); პროფესიული შერეული ჯგუფები (მეწარმეები/ბისნესმენები, მასწავლებლები, სამედიცინო სფეროს მუშაკები და ა.შ.); ხანდაზმულები/პენსიონერები; შშმ ბავშვების მშობლები.

ფოკუს-ჯგუფის მიზანი იყო ზემოთ ჩამოთვლილი მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების მიერ საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა, რეფორმის მიმდინარეობის შეფასება, ადგილობრივი საჭიროებების კვლევა.

ფოკუს-ჯგუფები წარიმართა საჯარო რეფორმის სამი ძირითადი მიმართულების გამჭირვალეობა, ეფექტურობა, ინკლუზიურობის მიხედვით. (იხილეთ აღნიშნული ტრანსკრიპტები თანდართული ფაილის სახით)

- I. გამჭირვალეობა
- 1. ინტერვიუს ამ ნაწილში რესპოდენტებმა ისაუბრეს თუ რა ინფორმაციას ფობდნენ საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ. აღმოჩნდა, რომ მონაწილეთა

უმრავლესობა ამ ინფორმაციას ფლობს. ინფორმაცია მიღებული აქვთ ტელევიზიიდან, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობებიდან, ასევე მუნიციპალიტეტის ვებ და სოც ქსელებიდან. თუმცა თვლიან, რომ აღნიშნული ინფორმაცია არასაკმარისია და სჭირდებათ ამ კუთხით მეტი ინფორმაციის მიღება. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები თვლიან, რომ თვითმმართველ ერთეულებში დანერგილმა ელექტრონულმა მართვის სისტემებმა ნაკლებად გაამართლეს, მოსახლეობა ამ სერვისებს ვერ იყენებს, ან არ აქვთ საჭირო უნარ-ჩვევები, ან ინტერნეტთან არ მიუწვდებათ ხელი, ან არ აქვთ ინფორმაცია ამის შესახებ. მათივე აზრით საჭიროა მერის წარმომადგენლების უფრო მეტი ატიურობა, რომ უფრო კოორდინირებული იყოს ურთიერთობა მუნიციპალიტეტებსა და ხალხს შორის.

2. ერთერთი ფოკუს-ჯგუფის დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ შშმ ბავშვების მშობლები, ერთერთი მონაწილის მიერ დასმული იქნა საკითხი, ხომ არ გაეხსენებინა ან მსგავსი ინსტიტუ შეექმნა, როგორც წლების წინ ე.წ. ქუჩის კომიტეტებს პრაქტიკა იყო. როგორც მონაწილემ აღნიშნა ეს იყო ერთგვარი ინსტიტუცია, რომელიც მაკუურდინირებული რგოლი იყო ხელისუფლებასა და ხალხს შორის.
3. მეტ ნაკლებად ნაცნობია ელექტრონული პეტიცია და მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა. რომელითაც რამდენიმე მონაწილეს უსარგებლია კიდევ. ასევე უსარგებლით სოციალური პროგრამებით, რომელიც ყველაზე აქტუალურია და ამ კუთხით მუნიციპალიტეტის გამართულად მუშაბს.
4. რაც შეეხება, რამდენად აქტიურია მუნიციპალიტეტის ვებ/სოციალურ ქსელში საჯარო ინფორმაციის განთავსება, მონაწილეები თვლიან, რომ ამ კუთხით მუნიციპალიტეტის ოფიციალური გვერდები აქტუალურია. სხვა თემა რამდენად ხელმისაწვდომია განთავსებული ინფორმაცია საზოგადოების ფართო ფენებისთვის. აქვე აღნიშნავენ, რომ ისინი არ ფლობენ ინფორმაციას რამდენად გამჭვირვალედ და ანგარიშვალედებულად მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობა.
5. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები თვლიან, რომ კიდევ უფრო მეტად ღია უნდა გახდეს საჯარო სტრუქტურები მოსახლეობისთვის, რასაც კომპეტენტურმა საჯარო მოხელეებმა უნდა შეუწყოს ხელი, რისი დეფიციტიც ამ წუთში არის.
6. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები თვლიან, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს საჯარო მმართველობის რეფორმის მიმდინარეობის შესახებ, ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის.
7. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები თვლიან, რომ თუ საზოგადოების სამოქალაქო თვითშეგნება უფრო არ ამაღლდა, მოსხლეობამ თუ უფრო მეტად არ გაიაზრა, რომ საჭიროა მეტი ჩართლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მუნიციპალიტეტი ერთი რომელიმე, ან რამდენიმე ჩინოსანის კი არა თითოეული მოქალაქისაა რეფორმა დარჩება ფურცელზე. ამაში კი მნიშვნელოვნად ხელავეს არასამთავრობო სექტორის როლს, რადგან ხალხს მათი უფრო სჯერათ.

II. ეფექტურობა

1. საჯარო მმართველობის რეფორმის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების აზრით, საჭიროა მეტი დიალოგი ხალხთან. თუ მოსახლეობა არ მოდის ამ დიალოგზე, ე.ი.მათ არასაკმარისი ინფორმაცია აქვთ და საჭიროა თვითნ მივიდნენ ხალხთან, ეს იქნება სხვადასხვა დაწესებულებასა და

ორგანიზაციაში საინფორმაციო შეხვედრების დაგეგმვა, საინფორმაციო კამპანია თუ სხვა აქტივობა, რომელიც შედეგს დადებს.

2. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები, ჯანდაცვის კუთხით პროგრამები ნამდვილად მუშაობს, მაგრამ დასძენენ, რომ სჭირდებათ ინფორმაცია რამდენად კარგად კეთდება და არის თუ არა იმ დონეზე შესრულებული სამუშაოები, როგორც საჭირო იყო.
3. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების აზრით, ელექტრონული სერვისებიდან ყველაზე ატულურია ელექტრონული პეტიციის ნაწილი. გამოუყენებიათ და საკმაოდ წარმატებულადაც. თუმცა აქვე დასძენენ, რომ ამ კუთხით კიდევ უფრო მეტია სამუშაო, რომ საზოგადოებამ კარგად გაიგოს, როგორ გამოიყენონ ეს ინსტრუმენტი და რა უნარ-ჩვევები დასჭირდებათ ამისთვის.
4. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები თვლიან, რომ ოზურგეთში საკმაოდ ძლიერი არასამთავრობო სექტორი არსებობს და ეს რესურსი ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გამოიყენონ.
5. მონაწილეები ფიქრობენ, რომ ხელისუფლება რომელიც მათ მიერ არის არჩეული, ვალდებულია ინფორმაცია ზუსტად, ხარისხიანად სანდოდ მიაწოდონ. თუმცა არ გამორიცხავენ, რომ არსებული კადრებით ეს არ მოხერხდება და შესაძლოა ცალკე შტატებიც გაჩნდეს ამ სფეროში.

III. ინკლუზიურობა

1. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების აზრით, საჭიროა საკრებულოს წევრების, განსაკუთრებით მაჟორიტარების გააქტიურება. მათ ცუდ ტონად მიაჩნიათ, არჩევნიდან-არჩევნებამდე ხალხის საჭიროებების იგნორი, თვლიან რომ მათი ვალდებულებაა ამ პროცესებში აქტიური ჩართვა.
2. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები ფიქრობენ, რომ არასამთავრობო სექტორი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ხშირად უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე ხელისუფლება. თუმცა იგივეს ვერ იტყვიან კერძო სტრუქტურების წარმომადგენლებზე. კერძო სტრუქტურას მხოლოდ საკუთარი, ვიწრო ინტერესები აინტერესებს.

III ინტერვიუ ექსპერტთან

კვლევის ფარგლებში ჩაიწერა ოთხი ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან. შერჩეული იქნენ მერიის, საკრებულოს, მაჟორიტარის ბიუროსა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

1. გამჭირვალეობა:

1. მიუხედავად იმისა, რომ რესპოდენტები მეტ-ნაკლებად ჩართულები არიან საჯარო მმართველობის რეფორმის მიმდინარეობაში, ინფორმაცია მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მაინც არაერთგვაროვანია. თუმცა, შარშანდელთან შედარებით დადებითი დინამიკა ნამდვილად შეიმჩნევა. ერთის მხრივ ეს განაპირობა

პანდემიამ, რადგან მოქალაქეების მხრიდან დიდ იყო ონლაინ მომსახურების მიღების მოთხოვნა. თუმცა ფიქრობენ, რომ ეს არ არის საკმარისი და მეტი არის გასაკეთებელი.

- ექსპერტები ფიქრობენ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდით საკმაოდ ინფორმაციულია, ხელმისაწვდომია, თუმცა კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი. შესაძლებელია დაემატოდ ონლაინ შეხვედრების პლატფორმაც, რომელიც მათი აზრით კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის მომსახურებას.
- ექსპერტები ფიქრობენ, რომ მუნიციპალიტეტის დია პორტალი, რომელზეც ქვეყნდება მონაცემები ყველა სფეროსთვის არის ხელმისაწვდომი. ამ მონაცემებით შეუფერხებლად შეუძლიათ ისარგებლონ, შექმნან აპლიკაციები, ელექტრონული სერვისები და მიიღონ ეკონომიკური სარგებელი.
- ექსპერტები ფიქრობენ, რომ აზრით უკანსკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუნიციპალური მომსახურების სერვისები, ამის ინდიკატორია ქალთა ოთხის შექმნას, თუმცა ვერ ახერხებს საჯარო მმართველობის რეფორმის მიმდინარეობის შეფასებას.

2) ეფექტურობა

- ექსპერტების აზრით, მუნიციპალიტეტში აქტიურად ხდება სპეციფიური ჯგუფების საჭიროებების კვლევა/ანალიზი. კვლევის ინსტრუმენტად იყენებენ, ფოკუს-ჯგუფებს. რაც ეხმარება მათ, ამ ჯგუფების საჭიროებების დადგენაში. ამის ინდიკატორად ასახელებს, 2021 წლის ბიუჯეტში ასახულ პროგრამებს.
- ექსპერტების აზრით, ელექტრონული მართვის სისტემას საკმაოდ წარმატებულად იყენებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ამის ერთერთი თვალსაჩინო ინდიკატორია მონაწილეობითი ბიუჯეტისა და ელექტრონული პეტიციის პოპულარობა საზოგადოებაში. თუმცა ფიქრობენ, რომ საჭიროა მოქალაქეს ქონდეს ის აუცილებელი უნარ-ჩვევა, რაც ციფრული წიგნიერებისთვის არის საჭირო, რომ მიიღოს აღნიშნული სერვისი.
- რესპოდენტები თვლიან, რომ თვითმმართველობაში დანერგილი ელექტრონული სერვისები, მუშაობს, მაგრამ გამართლებულს ვერ დავარქმევთ. როგორც ჩანს მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომიც არაა.
- ექსპერტების აზრით საჭიროა დასახლებების საერთო კრებების პრაქტიკის გაუმჯობესება, რათა ეს ინსტრუმენტი გამოყენებულ იქნას ეფექტური ტანამშრომლობისთვის.
- ექსპერტები ფიქრობენ, რომ მუნიციპალიტეტმა, რომ უფრო ეფექტურად და ჯეროვნად შეძლოს უფლებამოსილების განხორციელება, ერთერთი განმაპირობებელი ფაქტორი დეცენტრალიზაცია.
- ექსპერტების ფიქრობენ, რომ მუნიციპალიტეტს აუცილებლად უნდა ქონდეს კორუფციის პრევენციის მექანიზმი.
- მათი აზრით აუცილებელია, მუნიციპალიტეტი ზრუნავდეს კადრების განახლებასა და განვითარებაზე, მუდმივ რეჟიმში.

ინკლუზია

- რესპოდენტების აზრით ადგილობრივ მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის მუნიციპალიტეტში არსებული პრაქტიკა, მისაღებია, ნამდვილად კარგია მაგრამ არასაკმარისი, თუმცა როგორც საკრებულოს სხდომებზე მოქალაქეების მონაწილეობა, ასევე ბიუჯეტის საკითხებთან დაკავშირებით საჯარო განხილვების პრაქტიკა არაეფექტურია.
- საჯარო მმართველობის მეტი ეფექტურობის მიღწევისათვის საწიროა მოსახლეობასთან საჯარო და უშუალო შეხვედრების უზრუნველყოფა.
- ექსპერტები ფიქრობენ, რომ მნიშვნელოვანია ადგილობრივი მედისაა და არასამტავრობო სექტორის ჩართვა ბიუჯეტის ხარჯვის ეფექტურობის მონიტორინგში.
- ექსპერტთა აზრით, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიწოდებული საჯარო პროდუქტის და მუნიციპალური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, ისევე როგორც მათი ხარჯთეფექტიანობის ამაღლების, მნიშვნელოვანი მექანიზმია საჯარო და კერძო თანამშრომლობა (პარტნიორობა). ადგილობრივ თვითმმართველობას შეუძლია მყარი საფუძველი შეუქმნას ეკონომიკურ განვითარებას კერძო სექტორთან მიმართებაში. მას შეუძლია კერძო სექტორს შესთავაზოს ინვესტირებისათვის ხელსაყრელი გარემო, ბუნებრივი რესურსები, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. ამ მიმართულებით მუნიციპალური პროგრამები ორიენტირებულია კერძო ბიზნესისათვის შექმნან ხელსაყრელი და მიმზიდველი გარემო.

დასკვნა

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ ინფორმაცია არა აქვს გამოკითხულ მოქალაქეთა აბსოლიტურ უმრავლესობას ;
- გამოკითხულ მოქალაქეთა ის ნაწილი, ვისაც აღნიშნული რეფორმის შესახებ ინფორმაცი აქვს, ინფორმაციის წყაროდ არასამტავრობო ორგანიზაციებს, პირად ურთიერთობს და სოციალურ ქსელებს ასახელებს და არა მუნიციპალიტეტის ოფიციალურ გვერდებს.
- გამოკითხული მოსახლეობის უმეტესობა თვლის, რომ რეფორმა მუნიციპალური მომსახურების ხარისხს გააუმჯობესებს, თუმცა არ იცის რეფორმის არსი.
- გამოკითხულ მომუნიციპალიტეტის ელექტრონული სერვისების შესახებ მოსახლეობის თითქმის ნახევარი საერთოდ არაა ინფორმირებული.
- გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობას მუნიციპალური ელექტრონული სერვისების გამოყენებისთვის საჭირო ცოდნა და უნარჩვევა არ გააჩნია; დაახლოებით 40%-ს საერთოდ არ აინტერესებს ელექტრონული სერვისებით სარგებლობა.
- მუნიციპალური ელექტრონული სერვისების გამომყენების ძირითადი მიზნები ონლაინ ვაკანსიების ძიების, ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების საკონტაქტო ინფორმაციის მიღების და საბიუჯეტო სახსრების განაწილების ნახვის სურვილია, ასევე დიდია სამოქალაქო ბიუჯეტისა და ელექტრონული პეტიციის შესახებ მოქალაქეთა ინტერესი .
- თუ რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი რეფორმის მიმდინარეობის პროცესში მოსახლეობისთვის მიწოდებული მომსახურების გასაუმჯობესებლად, გამოკითხულ რესპოდენტთა 40%-ს უჭირს პასუხის გაცემა. 53% და მეტი პრიცენტი კი ასახელებს

სახელმწიფო ელექტრონულ სერვისებზე საზოგადოების დროული და სრულფასოვანი ინფორმირებასა და საჯარო მოხელეთა კომპეტენციის ზრდას

- ყველაზე მეტად აქცენტი მუნიციპალიტეტმა მოსახლეობისთვის ელექტრონული სერვისების თაობაზე სრულ და დროულ ინფორმირებას უნდა მიმართოს. ასევე მნიშვნელოვანია მოწყვლადი ჯგუფების მომსახურების ზრდა და საჯარო მოხელეთა ცოდნის და უნარების ამაღლება.

ეფექტიანობა

- გამოკითხული მოსახლეობის თითქმის 56%-ს საერთოდ არ გამოუყენებია მიმართვის ელექტრონული ფორმა და შესაბამისად არ იცის რამდენად მარტივია მისი გამოყენება, თუმცა გამოუყენებია და თვლის რომ ეს მარტივი პროცედურებია 44%-ზე მეტი
- მოსახლეობა მუნიციპალიტეტს უპირატესად მხოლოდ პირად და არა საზოგადო საკითხებზე მიმართავს
- მიუხედავად კრიტიკული დამოკიდებულებებისა მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მომსახურების სერვისის ხარისხით მოსახლეობის უმრავლესობა კმაყოფილია.
- თითქმის თანაბრად გაიყო იმ გამოკითხულ მოქალაქეთა ხმები ვინც მიმართა მუნიციპალიტეტს სხვადასხვა პრობლემის მოსაგვარებლად (44%) და ვინც არ მიმართა 35%.
- გამიკითხულ მოქალაქეთ უმრავლესობა თვლის, რომ მუნიციპალიტეტი ყველაზე მეტად არა რომელიმე კონკრეტული ჯგუფის, არამედ ზოგადად მოსახლეობის საჭიროებებს ითვალისწინებს 27%, თუმცა მეტ ნაკლებად ითვალისწინებს ახალგაზრდების, ქალების, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა, საჭიროებებს, თუმცა სპეც. საჭიროებათა გათვალისწინება ხდება.
- მუნიციპალიტეტის მხრიდან შესაძლოა სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრის დაგეგმვა როგანიზაციებთან და დაწესებულებებთან, რაც კიდევ უფრო ექტიანს გახდის დიალოგს, ეს კი ხელს შეუწყობს საჯარო მმართველობის რეფორმის მიმდინარეობის შესებ ცნობადობის გაზრდას.

ინკლუზიურობა

- გამიკითხული მოქალაქეები თვლიან, რომ ადგილობრივი საჯარო მოხელეები მოქალაქეთა ჩართულობის ვალდებულებას არ თვლიან მნიშვნელოვნად, არ ცდილობენ უფრო მეტად ჩართონ მოქალაქეები გადაწყვეტილების მიღების პროცესში,
- მოქალაქეების ჩართულობა ძირითადად ხდება საერთო კრებების, სამოქალაქო ბიუჯეტის და ელექტრონული პეტიციის წარდგენის დროს, მეტ - ნაკლებად მოსახლეობა ჩართულია პრიორიტეტების განხილვისას საჭიროებათა იდენტიფიცირების პროცესში (სოფლის მხარდაჭერის პროგრამები).
- მოსახლეობის უმრავლესობას რაიმე საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტისთვის არანაირი შენიშვნა არ მიუწოდებია და არ ჰქონია კომუნიკაცია. ვინც მიაწოდა, იმათგან, ვინც შეძლო შენიშვნების მიწოდება ადგილობრივი თვითმმართველობისთვის სერვისების შესახებ, ეს ძირითადად მოახერხა პოლიტიკური თანამდებობის პირებთან და საჯარო მოხელეებთან პირისპირ პერიოდული შეხვედრებით და არა ელექტრონულად. თუმცა განსაკუთრებით მცირე ნაწილი ამისთვის იყენებს სოციალურ ქსელს.

- გამოკითხული მოსახლეობის უმეტესობა თვლის, რომ მეტი ჩართულობისა და დიალოგისთვის მუნიციპალიტეტი არ მართავს მუდმივ შეხვედრებს მოსახლეობასთან.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდი ნაწილი აქტიურადაა ჩართული სამოქალაქო სექტორის მიერ დაგეგმილ აქტივობებში და თვლის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილი დიდია საჯარო მმართველობის რეფორმის მიმდინარეობაში
- კვლევის დასკვნით ნაწილში, გამოკითხული მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა დაეყენებინა საკუთარი პრიორიტეტები. სოციალური და პირადი სახის პრობლემების გვერდით, საკმაოდ მაღალი შედეგი ქონდა კინოთატრის არ არსებობა და მიუსაფარი ცხოველების პრობლემა.
- გამოკითხულ მოსახლეობას შეეძლო ასევე ჩამოეყალიბებია სამი მნიშვნელოვანი ამოცანა, რაც უსახებათ მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ყველაზე მეტმა მოქალაქემ დაასახლა კინოთატროს არარსებობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში და მიუსაფარი ცხოველების პრობლემა.

რეკომენდაციები:

1. გამჭირვალება
 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა თვითმმართველობამ, არასამთავრობო სექტორისა და მოქალაქეების დახმარებით, საჭიროა დაგეგმოს უფრო მეტი ღონისძიება საჯარო მმართველობის რეფორმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზრდის კუთხით. ამისთვის სწორად უნდა შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, სადაც ზუსტად იქნება გათვლილი ტელევიზიის, სოც-მედიისა და მუნიციპალიტეტის სოც,ქსელის და ა.შ. წილი. საინფორმაციო კამპანია უნდა იყოს სწორად გათვლილი და რაც მთავარია საინტერესოდ დაგეგმილი.
2. მუნიციპალიტეტის ელექტრონული სერვისებზე ცნობადობისა და შესაძლებლობათა გაზრდისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ხელმისაწვდომი ელექტრონულ სერვისებზე, ინფორმაციის სახით (ბუკლეტი, ფლაერი და ა.შ.) მოსახლეობაში გაავრცელოს მარტივი გზამკვლევები და ა.შ. შესაძლებელია ბანერების დამზადება, რაც კიდევ უფრო ინფორმაციულს გახდის რეფორმის მიმდინარეობას
3. რადგანაც მოსახლეობის მიერ მუნიციპალური ელექტრონული სერვისების გამოყენების ძირითადი მიზნები ონლაინ ვაკანსიების ძიების, ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების საკონტაქტო ინფორმაციის მიღების და საბიუჯეტო სახსრების განაწილების ნახვის სურვილია, პერმანენტულად უნდა მოხდეს ამ სახის ინფორმაციის განახლება.
4. მნიშვნელოვანია საჯარო მოხელეთა ცოდნის და უნარების ამაღლება მოსახლეობასთან კომუნიკაციის და მონაწილეობის, ჩართულობის საკითხებში;

5. მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურმა ხელი უნდა შეუწყოს მასშტაბით (ტელევიზია, ადგილობრივი პრესა, ოლნაინ მედია), მუნიციპალიტეტის (მერიისა და საკრებულოს) ვებ-გვერდებით და სოც.ქსელებით, სამზარეო ადმინისტრაციის ვებ და სოც.ქსელით საჯარო რეფორმის მიმდინარეობას, კიდევ უფრო მეტად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ინფორმაცია ამ რეფორმის სარგებლიანობის შესახებ, რას ნიშნავს ელექტრონული სერვისები და ელექტრონული მმართველობა. როგორ უნდა ისარგებლოს მოსახლეობამ ამ ბენეფიტებით
6. მუნიციპალიტეტის მხრიდან ასევე ხელი უნდა შეეწყოს თანამშრომლობას არამსათავრობო სექტორთან, რომელთაც მსგავსს საკითხებზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საკმაოდ ძლიერი სამოქალაქო სექტორის არსებობა, სწორედ შესაძლებლობად უნდა გამოიყენოს ადგილობრივმა თვითმმართველობამ.
7. იმისთვის, რომ საჯარო მმართველობის რეფორმას სათანადო ეფექტი ჰქონდეს საჭიროა არასამთავრობო სექტორი უფრო აქტიურად ჩაერთოს ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის პოლიტიკური დიალოგში.

ეფექტიანობა

1. მუნიციპალიტეტის მხრიდან, კიდევ უფრო კონკრეტულად უნდა მოხდეს მოსახლეობის საჭიროებების კვლევა. აღნიშნული კვლევის დოკუმენტიც შესაძლოა ჩაითვალოს ერთერთ ინსტრუმენტად, მოსახლეობის ინტერესების იდენტიფიკაციისთვის. მოსახლეობის საჭიროებების სწორად განსაზღვრა და ამ საჭიროებების მიხედვით დაგეგმილი შემდეგი ქმედებები ხელს შეუწყობს მოსახლეობის ინდიფერენტულ დამოკიდებულებას რეფორმის მიმდინარეობის მიმართ და შეიცვლება პოზიტიური უკუკავშირით.
2. სხვადასხვა აქტივობაში, მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან, უნდა მოხდეს მერის წარმომდგენლებისა და საკრებულოს წევრების უფრო მეტად ჩართვა, რაც გაზრდის როგორც სანდოობას, ასევე ხელმისაწვდომობასაც.

ინკლუზიურობა

1. გამოკითხული მოსახლეობის აზრით ადგილობრივი საჯარო მოხელეები მოქალაქეთა ჩართულობის ვალდებულებას არ თვლიან მნიშვნელოვნად. ასევე მნიშვნელოვან კომპონენტად ასახელებენ საჯარო მოხელეების გადამზადების აუცილებლობას, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მოხელეთა გადამზადება, რათა კიდევ უფრო ეფექტური გახდეს კომუნიკაცია საჯარო სტრუქტურასა და მოსახლეობას შორის
2. უფრო აქტიური უნდა გახდეს დასახლებების საერთო კრებების პრაქტიკა. ერთერთ ფოკუს-ჯგუფში დაისვა საკითხი, რომ ხომ არ ეფიქრა მუნიციპალიტეტს ადრინდელი გამოცდილების გაზეიარების, საკითხი ეხებოდა წლების წინანდელი ე.წ. ქუჩის კომიტეტების არსებობას,

რომელიც ერთგვარი შუალედური რგოლი იყო მოსახლეობასა და მუნიციპალიტეტებს შორის.

3. იმისათვის, რომ საჯარო მმართველობის რეფორმას სატანადო ეფექტი ექონდეს, საჭიროა არასამთავრობო სექტორი უფრო აქტიურად ჩაერთოს ხელისფლებასა და მოსახლეობას შორის პოლიტიკურ დიალოგში.
4. ხელსიუფების მხრიდან, უფრო მოხდეს კერძო სექტორის ერთგვარი წახალისება, რომ მათი მხრიდან აქტიური ჩართვა მოხდეს ამ პროცესებში.